15/10/2020

ილია მეორე – გაჭირვებული ადამიანების დასახმარებლად დაფუძნდა ფონდი „მოწყალე სამარიტელი“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის განცხადებით, დაარსდა ფონდი – „მოწყალე სამარიტელი“.

მისივე თქმით, ფონდის მიზანი გაჭირვებული ადამიანების დახმარება იქნება.

„კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ სვეტიცხოვლობას. სვეტიცხოვლობა არის დიდი დღესასწაული, ღვთის წყალობა, ღვთის მადლის მიღება, მადლი ღვთისა უძლურთა მკურნალი და ნაკლულოვანთა აღმავსებელი, იყოს მფარველი თქვენი, საქართველოსი და მთელი მსოფლიოსი.

დაფუძნდა ფონდი, „მოწყალე სამარიტელი“, გაჭირვებული ადამიანების დასახმარებლად. ვისაც სურს, მიიღოს მონაწილეობა, ამ ფონდში თვეში შემოიტანს

ერთ ლარს. იმედი მაქვს, ეს ფონდი დაეხმარება გაჭირვებულ სტუდენტებს, გაჭირვებულ ხალხს“, – აღნიშნა ილია მეორემ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

1tv.ge